

# მდინარე ენგურის მოლუსკების მრავალფეროვნება

სალომე პაპუაშვილი

*„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე გამოყენებითი გენეტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად“*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა:

გამოყენებითი გენეტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან მუმლაძე, ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანახელმძღვანელი: ანი ბიკაშვილი, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.*

ს. პაპუაშვილი

20.01.2022.

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	3
თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა.....	6
თავი 3. კვლევის მიზანი და ამოცანები .....	8
თავი 4. სამაგისტრო პროექტის შესრულების ადგილი და ვადები.....	8
თავი 5. მასალა და მეთოდები .....	8
5.1. საკვლევი ტერიტორია .....	8
5.2. საველე და ლაბორატორიული კვლევის მეთოდთა .....	9
თავი 6. შედეგები .....	14
თავი 6.1. დნმ-ის ანალიზის შედეგები.....	18
თავი 7. დისკუსია .....	21
დასკვნები.....	23
ბიბლიოგრაფია: .....	24

## აბსტრაქტი

საქართველოში მტკნარი წყლის მოლუსკებზე კვლევა დაახლოებით 50 წლის მანძილზე არ ჩატარებულა, რის გამოც მათი ტაქსონომიური სისტემა ძლიერ მოძველებულია და მოითხოვს განახლებას, ახალი ლიტერატურული ბაზის შექმნას, სახეობათა ტაქსონომიური სტატუსის განსაზღვრას, მათი გავრცელების არეალის დაზუსტებას. ამის შესასრულებლად კი, როგორც ტრადიციული მორფოლოგიურ-ანატომიური, ასევე მოლეკულურ-გენეტიკური კვლევა არის საჭირო. ჩემი სამაგისტრო ნაშრომი ხორციელდება „კავკასიის სიცოცხლის ბარკოდირება CaBoL“-ის პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანიც არის საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესწავლა დნმ ბარკოდირების საშუალებით და შედეგების ინტერპრეტაციის დახმარებით მოხდება სხვადასხვა სახეობის ტაქსონომიური სისტემის განახლება, ზოგ შემთხვევაში კი შექმნა. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში მოხდება საქართველოს მტკნარი წყლის მოლუსკების მოლეკულური მრავალფეროვნების შეფასება, რაც გარკვეულწილად წარმოადგენს ჩემი სამაგისტრო ნაშრომის დანიშნულებას. ნაშრომი მიზნად ისახავს კონკრეტული მდინარის, მდინარე ენგურის და მისი შენაკადების მდ. ჯუმის და მდ. მაგანას რამდენიმე წერტილის შესწავლას მოლუსკების მრავალფეროვნების თვალსაზრისით. პირველ რიგში მოხდა საკვლევი ტერიტორიიდან სინჯების მოპოვება, მისი მორფოლოგიურ-ანატომიური კვლევა, გამოიყო სავარაუდო სახეობები და შემდეგ მის დასადასტურებლად ჩატარდა მოლეკულურ-გენეტიკური ანალიზი. როგორც ვიცით, საქართველოში მსგავსი კვლევა ჯერ არ ჩატარებულა და GenBank-ში საქართველოს მოლუსკების ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. მწირია ინფორმაცია ჩვენი საკვლევი არეალის შესახებაც. ლიტერატურული წყაროს მიხედვით, ნახსენებია რამდენიმე სახეობა რომელიც მდინარე ენგურის ტერიტორიაზე იყო, მაგრამ მისი დადასტურება არ მომხდარა. საბოლოო შედეგის მისაღწევად და იმის დასადგენად თუ მოლუსკების რა მრავალფეროვნებით გამოირჩევა მდინარე ენგური, აუცილებელია ტერიტორიის სრული კვლევა, რადგან ჩატარებული კვლევა არ არის სრულყოფილი და მოიცავს მდინარის მხოლოდ რამდენიმე ერთმანეთთან ახლო მდებარე წერტილის პირველად კვლევას.